ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის

სხდომის ოქმი N 39

14 ივლისი, 2020 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N 2

14:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

ა. ლაშხი, ბ. დავითულიანი, გ. გოცირიძე, ე. კუხიანიძე, ვ. ძნელაძე, მ. დარჩია.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

გიორგი ჩაკვეტაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე;

დავით ჭელიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;

ავთანდილ ცინცაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;

დავით რურუა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;

შალვა ოგბაიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;

გიორგი მუსხელიშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:

1. გაიოზ თალაკვაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
2. ზაზა ცინაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;

3. დავით კერესელიძე - ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს წარმომადგენელი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **საკითხი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის 2020 წლის 14 ივლისის სხდომის თავმჯდომარის არჩევა.

   მომხსენებელი: ბატონი ბექა დავითულიანი

   თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის წევრი.

2. **საკითხი:** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის №51-104 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა (#12-0320192123-03; 10.07.2020).

   მომხსენებელი: ბატონი გაიოზ თალაკვაძე
   თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი.

შენიშვნა:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, ბატონმა ბექა დავითულიანმა განმარტა, რომ სხდომის თავმჯდომარეობას ჯანმრთელობის მდგომარეობის მიზეზით, ვერ უზრუნველყოფს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე, ქალბატონი თამარ ტალიაშვილი; ასევე, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის N3-6 დადგენილების მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, არჩეული მისი მოვალეობის შემსრულებელი, ქალბატონი ქეთევან ჯოხაძე. შესაბამისად, ბატონმა ბექა დავითულიანმა კომისიის სხდომის მონაწილეებს შესთავაზა საკუთარი კანდიდატურა მიმდინარე სხდომის თავმჯდომარედ განსაზღვრის თაობაზე.

მომხრე _____ 5

წინააღმდეგი _____ 0

თავი შეიკავა _____ 0

განათლებისა და კულტურის კომისიამ გადაწყვიტა, რომ იგი მხარს უჭერს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის 2020 წლის 14 ივლისის სხდომის თავმჯდომარედ, ამავე კომისიის წევრის, ბექა დავითულიანის არჩევას.

სხდომას თავმჯდომარეობდა ბექა დავითულიანი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის წევრი).

სხდომის თავმჯდომარემ, ბატონმა ბექა დავითულიანმა წარმოადგინა სხდომაზე განსახილველი საკითხი, რასაც განათლებისა და კულტურის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ, ბატონმა ბექა დავითულიანმა აღნიშნა, რომ მიმდინარე სხდომა მიმდინარეობდა თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიასთან გაერთიანებული, რომელშიც განსახილველი საკითხის დეტალურად შესწავლის მიზნით, ასევე მონაწილეობას იღებდნენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები. ბატონმა ბექამ საკითხის წარმოდგენისთვის სიტყვა გადასცა ბატონ გაიოზ თალაკვაძეს.

ბატონი გაიოზ თალაკვაძის განმარტებით, მსოფლიო პანდემიად აღიარებული COVID-19-ით შექმნილი გარემოებების გამო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტში არის შემოსავლების კლება; მათ შორის, 25 მილიონი ლარით მცირდება საწარმოო ტექნოლოგიებზე მიღებული გადასახადიდან შემოსავალი, დამატებული ღირებულების გადასახადი იკლებს 70 570,5 ათასი ლარით, 35 000,0 ათასი ლარით მცირდება სახელმწიფო ბიუჯეტით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის გათვალისწინებული სპეციალური ტრანსფერი. ბატონი გაიოზის თქმით, აგრეთვე, მცირდება სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი 17 500,0 ათასი ლარით, მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 2 000,0 ათასი ლარით, შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზუფრუქტი ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 1 462,0 ათასი ლარით, სანქციები (ჯარიმები და საურავები) – 8 000,0 ათასი ლარით.

მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის თქმით, თბილისის საკრებულოში წარმოდგენილი 2020 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტით, ბიუჯეტი მცირდება 137 332,5 ათასი ლარით და განისაზღვრება 1 101 648,1 ათასი ლარით.

სიტყვა გადაეცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილეს, ბატონ ზაზა ცინაძეს, რომელმაც აღნიშნა, რომ კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებებით საბიუჯეტო პროგრამებზე თანხების შემცირება განპირობებულია „დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ მიერ კორონავირუსის გავრცელების შეჩერების მიზნით, დაწესებული შეზღუდვებით, რაც ავტომატურად გარკვეული მასობრივი ღონისძიებების შეზღუდვას გულისხმობდა. ბატონმა ზაზა ცინაძემ აღნიშნა, რომ ბიუჯეტის წარმოდგენილ პროექტში არის ის ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც დამტკიცებული ბიუჯეტით იყო განსაზღვრული, ხოლო ის პროექტები, რომლებიც პანდემიამდე არ იყო დაწყებული გაიყოფა ორ ნაწილად - მიმდინარე წელს თბილისის მერია შეისყიდის საპროექტო სამუშაოებს, ხოლო მომავალ წელს შეისყიდის სარემონტო სამუშაოებს.

საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა გიორგი ჩაკვეტაძემ განმარტა, რომ კორონავირუსის მიერ შექმნილი გამოწვევის ფონზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ცვლილების წარმოდგენილი პროექტი აბსოლუტურად პასუხობს ყველა იმ პრიორიტეტს, რომელიც 2019 წლის ბოლოს და 2020 წლის დასაწყისში ჰქონდა თბილისის მუნიციპალიტეტს. ბატონი გიორგის თქმით, დაწყებული პროექტების განხორციელება მიმდინარეობს, თუმცა მიზანშეწონილია დამატებით თანხების მობილიზება მათი შეუფერხებლად გაგრძელებისთვის. ამასთან, დეპუტატი დაინტერესდა თბილისში მულტიფუნქციური ცენტრების მშენებლობის საკითხით, რასთან დაკავშირებითაც ბატონმა ზაზა ცინაძემ განმარტა, რომ აღნიშნული მიმართულებით საბიუჯეტო სახსრების შემცირება არ ხდება და მშენებლობა შეუფერხებლად მიმდინარეობს.

კომისიის წევრი, ქალბატონი მარიკა დარჩია დაინტერესდა მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის საბიუჯეტო სახსრების შემცირების ფონზე უკვე დაწყებული სარეაბილიტაციო სამუშაოების გაგრძელების საკითხითა და მუზეუმების გაერთიანების საბიუჯეტო პროგრამის ფარგლებში, დაგეგმილი პროექტების განხორციელების საკითხით.

ბატონმა გაიოზ თალაკვაძემ განმარტა, რომ მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის რეაბილიტაციისთვის რამდენიმე ტენდერი ჩატარდა, თუმცა სარემონტო სამუშაოები, რომელთა დაწყება 2020 წელს იგეგმებოდა, გადანაწილდება მომდევნო სამ წელიწადზე. მუზეუმებთან დაკავშირებით კი აღნიშნა, რომ მუზეუმები, რომელთა სარემონტო სამუშაოების უმეტესი ნაწილი შესრულებულია, წლის განმავლობაში დასრულდება, სხვა მუზეუმების რეაბილიტაცია კი გადაინაცვლებს 2021 წლის ბიუჯეტში.

ბატონმა ბექა დავითულიანმა განმარტა, რომ პროექტების დროში გადანაწილება განპირობებულია მსოფლიო პანდემიით, თუმცა მთავარია, რომ ისინი არ შეწყდება და კვლავ განხორციელდება.

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:

გაიოზ თალაკვაძემ, გიორგი ჩაკვეტაძემ, ზაზა ცინაძემ, მარიკა დარჩიამ, ბექა დავითულიანმა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის №51-104 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის დადებითად შეფასებისა და მისი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გადაცემის შესახებ.

მომხრე _____	**6**
წინააღმდეგი _____	**0**
თავი შეიკავა _____	**0**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიამ გადაწყვიტა რომ: კომისია დადებითად აფასებს აღნიშნული ბიუჯეტის ცვლილების პროექტს, არ აქვს შენიშვნები და წინადადებები მის მიმართ და მხარს უჭერს წარმოდგენილი დადგენილების პროექტის გადაცემას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

ბექა დავითულიანი ----------